# სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **მეტალის საჭრელი და სამღებრო საამქროს ფართის და მიმდებარე საპარკინგე სივრცის გენერალური დასუფთავების** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| პროდუქტი | კვ.მ |
|---|---|
| საამქრო | 316 |
| გარე პერიმეტრი | 600 |

**მოთხოვნა**

1. სამღებრო სივრცე - 38 კვ.მ
   დასაფთვების სპეციფიკა: კედელი, ჭერი, იატაკი, ჰაერის გამწოვი მილი - გახეხვა, დაპრესილი საღებავის მოშორება.
   (ჭერის სიმაღლე 3 მეტრი)
2. საოფისე სივრცე - 58 კვ.მ
   დასუფთავების სპეციფიკა: კედელი, ჭერი, იატაკი, სარკმელი - დასუფთვება სველი წესით.
   (ჭერის სიმაღლე 3 მეტრი)
3. სამუშაო სივრცე - 207 კვ.მ
   დასუფთავების სპეციფიკა: კედელი, ჭერი, იატაკი - დასუფთავება სველი წესით, გარკვეულ ადგილზრ ზეთოვანი მტვრის მოშორება.
   (ჭერის სიმაღლე 6 მეტრი)
   *შენიშვნა: ობიექტზე არსებული დანადგარების  არ საჭიროებს დასუფთავდებას.*
4. სველი წერტილი - 13 კვ.მ
   დასუფთავების სპეციფიკა: კედელი, ჭერი, იატაკი, ჰაერის გამწოვი მილი (30*40 დიამეტრი) - დასუფთავება სველი წესით.
   (ჭერის სიმაღლე 3 მეტრი)
5. ცენტრალური კარი - 16 კვ.მ.
   დასუფთავების სპეციფიკა - მეტალის გახეხვა სველი წესით შიდა/გარე მხარეს.
6. გარე პერიმეტრი - 600 კვ.მ
   მცირე რაოდენობის ბუნებრივი ნარჩენების მოგროვება/გატანა.

მოწოდება უნდა განხორციელდეს ერთ ეტაპად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 კვირის ვადაში. სამუშაო შესრულების დრო 2 დღე - შაბათი/კვირა.

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
  - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
  - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 16/07/2021 15:00 საათი**

**-** ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი

იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**